საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო

ოთხშაბათი
28 ოკტომბერი.
წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური, [illegible] ტებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გა[illegible] მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ [illegible]
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 208 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 208

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო“
ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.**

ქალაქი ქუთაისი. **ქალაქის თეატრი.**

ხარასკევს, 30 ოკტომბერს, 1915 წელს გაიმართება

კონცერტი

თბილისის სახაზინო თეატრის **ქართველ მომღერლისა**

ნიკ. ჩიგიანისა (ტენორი).

მონაწილეობენ: თბილისის სახაზინო თეატრის მსახიობები

ს. ი. გულკო და გამოჩენილი ვიოლონჩელისტი ქ. კოპელნიცკი.

როიალზე დაუკრავს ქნი **ნემეტი.**

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

კოოპერატივების საყურადღებოთ

ვინაიდან სოფლის კოოპერატივებს არ შეუძლიათ ზოგიერთი წვრილმანი საქონელი გამოიწერონ პირდაპირ ადგილიდან, ე. ი., პირველი ხელიდან, ამისათვის ვაცნობებ კოოპერატივებს, რომ ჩემ სავაჭროში შეუძლიათ ყოველგვარი **საგაპალეინო საქონელი შეიძინონ საღავათიან ფასებში**, აგრეთვე შეუძლიათ გაიგონ ყოველივე ცნობა, როგორც საქონლის ფასებისა, აგრეთვე ფირმებისა; ამასთანავე თანაგრძნობით გავუწევთ ყოველგვარ დახმარებას რითაც კი შევძლებ.
5—1 **დათიკო ძიძაძე.**

ქ. ქუთაისში

1 ნოემბრიდან, თბილისის ქ., მ. კვინიხიძის ქალთა პროგიმნაზიის სადგომში, გაიხსნება **როიალზე სწავლების კლასი.** სწავლა სწარმოებს კონსერვატორიის პროგრამით, კვირაში სამჯერ. სწავლის ფასი დაწესებულია კვირეულ სამ გაკვეთილზე თვეში ხუთი მანეთი, რომელიც წინდაწინ უნდა გადახდილ იქნეს.

ქალ. თეატრში შემდეგ გაიმართება მოწაფეთა საღამო.

ჩაწერა და მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე 8—2 საათ. და 4—6 საათამდი იქვე. თ.

დაიბეჭდა და **იყიდება** ქუთაისში მთავრიშვილის და ამხ. და თბილისში სერ. კითხვის ხაზ. წიგნის მაღაზიაში

სამსონ დათეშიძის მიერ შედგენილი

„სახატავი ნიმუშები და ქართული დედანი“,

ფასი 25 კაპ. მე-4-ე გამოცემა. ეს გამოცემა საკუთრებად შეძენილია მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიისაგან. 10—3

საშუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისთვის, უმაღლეს დასაწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის **ვამზადებ მოწაფეებს**, ეგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.
მისამართი: ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკითორე ქათამაძის სახლი № 32.
პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 4—6 ს.

ექიმი **გ. დ. ნასარიძე** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

გაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ბებია
მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ლექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

კბილის ექიმი
რ. პ. სვანაძე- ასული

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.
თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლში.

ექიმი **ი. ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

მასაჟით სამკურნალო **კაბინეთი**
მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძისსახლი. თ

ელექტრო **„რადიუმი“** თეატრი

ორშაბათიდან, 26 ოკტომბრიდან ახალი საუცხოვო პროგრამა.

უცოდველმა თქვენ შორის ესროლოს ქვა.

ახალი თანამედროვე დრამა 5 ნაწილათ. მოზჟუხინისა და რინდინის მონაწილეობით.

საცოლე და ცეცხლის მქრობელი. კომიკური სურათი.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 29 ოკტომბრიდან ნაჩვენები იქნება **მილიონების ბიპნოზის ბაბლენის ძმებ.** 13, 14 და 15 სერია. უმთავრეს როლში პერლ ვიტტი. მზადდება დასადგმელათ **ძრუპის ქარხნის საიდუმლოება** და სხვა სურათები სეზონისა.

„**სინათლის**“ საზოგადოების **დედათა ქართულ სასწავლებელში** მასალები გამცთები სწარმოებს ყოველ დღე დილის რვა საათიდან თორმეტამდი.
თფილისის ქუჩა, გ. მეიფარიანის სახლი. თ.

ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალი

მოუწოდებს მსურველთ მიიღონ მონაწილეობა

საჯარო ვაჭრობაში,

რომელიც მოხდება ჰოსპიტლის კანცელარიაში 12 ნოემბერს, მდგომარე წლისა.

იჯარით გაცემა

ჰოსპიტლისათვის **ხორცეულისა და სხვა საჭირო საგნების მიწვდა** 1 დეკემბრიდან 1915 წლ. 1917 წლის 1 იანვრამდი.

მთელი ჯამი მისაწოდებელ სურსათისა უდრის 90000 მანეთს.

განცხადებასთან ერთად, ვისაც სურს აიღოს იჯარით სურსათის მიწვდის საქმე, მსურველმა უნდა წარმოადგინოს ბეთ 2000 მ., თუ ყველა სანოვაგის მიწვდას იკისრებს. კერძოთ კი,—ხორცის მიმწოდებელმა—1000 მ. პურისა, რძისა, კვერცხისა და სხვა სან. 1000 მან. მწვანილეულობის მიმწოდებელმა კი 200 მან.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით საგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი“ („როსსია“),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდეთ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26
წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.
თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.
თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

აფთიაქი.

შემთხვევით იცემა იჯარით კარგათ მოწყობილი სოფლის აფთიაქი, საჭირო წამლებით.
მისამართი: ქ. ქუთაისი, გიმნაზიის ქ. ლ. კახიანის აფთიაქის საწყობში **ი. ჩხეიძეს.**
2—1—5011

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 26 ოკტომბერი, ოფიციალ. დასავლეთის ფრონტი. მდ. აა-ს მარცხენა ნაპირზე ჩვენი ჯარის ნაწილებმა არტილერიის ცეცხლის დახმარებით შესძლეს ფრანკენდოაფისა და ნავასერნის რაიონის დაკავება და ცოტათი წინ წაწევა ბაბიტის ტბის სამხრეთით. მიტავის რაიონში ჩვენმა ჯარმა წინ წაწევის დროს დაიკავა ოლაის ხაზი. იკსკიულის დასავლეთით კი აილო სოფელი დაბე. სვენტონის ტბის დასავლეთ ნაპირთან გაშმაგებული ბრძოლა განახლდა. ბრძოლა გძლიერდება. ზოგიერთ პუნქტზე ჩვენი ჯარი შეიჭრა მტრის პირველი ხაზის თხრილებში. ნატნელიშკი—იანუშკევიჩის მიდამოებში, ომენის ტბის დასავლეთით ძლიერი სროლაა. მედგარი შეტევით ჩვენმა ჯარმა მტრის რამდენიმე პოზიცია ჩაიგდო ხელში სოფ. გუტა-ლისოვსკაისთან და ტყვეთ წამოიყვანა 400 ჯარის კაცი და ტყვიის მფრქვეველები, რომელთაც რაოდენობაც ჯერ გამორკვეული არაა. ოკონკის ჩრდილოეთით კლოკის რაიონში მტრის ბანაკი გავარღვიეთ და დავიკავეთ მთელი რიგი გამაგრებული პოზიციების, რომლის დროსაც წამოვიყვანეთ 400 ტყვე და 5 ტყვიის მფრქვეველი. სასტიკი ბრძოლა გძელდება. კამაროვო—კულიკოვიჩის რაიონში ოკონკის სამხრეთით გაშმაგებული ბრძოლაა. უსერკოს სამხრეთ-აღმოსავლეთით და ზალეშკის ჩრდილო-დასავლეთით მტერი შეეცადა იერიშზე გადასვლას, მაგრამ შევაჩერეთ ჩვენის ცეცხლით.

კავკასიის ფრონტი.

ზღვის ნაპირა რაიონში და აგრეთვე ტორტუმის ტბის სამხრეთ აღმოსავლეთით მდ. სევრიჩაისა და გაიდაგის მთის შუა მდებარე ფრონტზე მოწინავე რაზმთა შორის შეტაკებაა, ურმიის რაიონში და გავარის ხეობიდან ჩრდილო-დასავლეთით ქურთებთან ბრძოლაა.

ცეტინიე. 25 ოკტ. ოფიც. ცნობა. მთელი 24 ოკტომბრის განმავლობაში და შემდეგ ღამით გრახოვის რაიონში გაცხარებული ბრძოლა იყო, სადაც ჩვენ ბრწყინვალეთ გავიმარჯვეთ და მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ. ჩვენ გავფანტეთ ავსტრიელთა შეჯგუფებული რაზმი. დანარჩენ ფრონტზე საარტილერიო სროლაა.

პარიზი. 26. დღის ოფიციალ. ცნობა მთელს ფრონტზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

ომის ამბები.

ბალკანეთი.

ბერლინის გაზეთებს სოფიიდან ატყობინებენ, რომ პიროტთან ბრძოლა უუსასტიკესი იყოო. ორივე მხრიდან აუარებელი მსხვერპლია.

——

ოსმალთა ჯარის 5 დივიზია გოლც ფაშის უფროსობით დობრუჯასთან საზღვარზე ბულგარეთის ჯარის ნაცვლათ გაიგზავნა. „დეილ ტელეგრაფის“ სიტყვით, ბულგარლებმა სილისტრიასკენ მიმართული რამდენიმე გზა გააფუჭეს.

——

დედეაგაჩზე ზარბაზნებით ყუმბარების დაშენის შემდეგ, ბულგარეთის ფრაკიის მთელი ნაპირი დაიცალა. მცხოვრებლები სახელმწიფოს შუაგულისკენ გადაასახლეს. ბულგარლებმა დიდძალას მოუყარეს თავი საბერძნეთის საზღვრებზე.

საბერძნეთი.

ლონდონიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ათინაში დიდ აღელვებას იწვევს მინისტრ გუნარისის სჰქციელი, რომელიც ცრუ ხმებს ავრცელებს, ვითომც ოთხთა შეთანხმება თავისუფლათ სარგებლობდეს სალონიკის რკინის გზით.

რუმინეთი.

რომიდან დეპეშით იტყობინებიან: მეფემ ფილიპესკუსა და იონესკუსთან თათბირის დროს განუცხადა მათ, რომ იგი ხალხის სურვილების თანახმათ იმოქმედებს და შეეცდება ეროვნული მიზნების განხორციელებას.

ბულგარეთი.

ბულგარეთიდან იტყობინებიან, რომ ბულგარული პრესა, ასრულებს რა მთავრობის განკარგულებას, სწერს საბერძნეთის შესახებ მეგობრულის კილოთი დაამტკიცებს, რომ, შესაძლებელია, განხორციელდეს ბულგარეთ-საბერძნეთის შორის დადებული შეთანხმება, რადგანაც მათ შორის არავითარი საწინააღმდეგო ინტერესები არ არისო. მეორე მხრით ბულგარეთის გაზეთები აღნიშვნენ, რომ სერბიას ბოლო მალე მოეღება და მას ბულგარეთი და ავსტრია გაინაწილებსო.

ოსმალეთი.

გაზეთების ცნობით, ავსტრო-გერმანელებისა და ოსმალეთის აგენტები, ენერგიულათ მოქმედებენ ალბანელთა ბანდის შესადგენათ სერბიისა და მთაშავეთის საწინააღმდეგოთ. ამით უნდათ ხელი შეუწყონ ბულგართა ჯარის მოძრაობას ალბანეთის ტერიტორიისაკენ და ამავე დროს შეაჩერონ სერბიელების შეტევა გერმანელების წინააღმდეგ კონსტანტინოპოლისკენ გამგზავრების დროს. ამასთანავე ამ გარემოებით სურთ აურიონ ბულგარეთს მისწრაფება ალბანეთის დასაკავებლათ და ადრიატიკის სანაპიროების ხელში ჩაგდებით. აგრეთვე მათი სურვილია შეაჩერონ ამით საბერძნეთი, რომელსაც გერმანია დაპირდა ეპირსა და ალბანეთის სამხრეთ ნაწილს. ავსტრიელები ცდილობენ ამბოხება მოახდინონ სკუტარში მთაშავლების წინააღმდეგ.

გენერალ ბოიადჟოვის ჯარი დღევანდლამდი, როგორც პარიზიდან იტყობინებიან, შეჩერებულია სერბიელების წინააღმდეგობით. სერბიის მდგომარეობა სერიოზულათ აფასებენ, მაგრამ არც ისე უნუგეშოა. თავდაცვის გეგმის მიხედვით, რომელ გეგმასაც თვით გარემოება უკარნახებს, სერბიის ჯარი, გაუწევს რა მედგარ წინააღმდეგობას მოპირდაპირეებს, თანდათანობით უკან დაიხევს.

ბუქარესტიდან ცნობაა, რომ ავსტრო-უნგრეთის გემებმა იწყეს ნავსადგურებში შესვლა იმის შემდეგ, რაც გერმანელებმა და ბულგარლებმა დუნაის სერბიის სანაპირო დაიკავეს. ყოველდღე ავსტრიის გემებს და მონიტორებს გადააქვთ სამხედრო სურსათი ორშავიდან ვიდინში.

სევასტოპოლში იტყობინებენ, რომ დღევანდლამდი ბულგარეთში ოსმალეთმა სულ 100000 ჯარისკაცი გაგზავნაო. ჯარის გზავნა გძელდება. ეს ჯარი დაბანაკებული იქნება განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპიროებზე. ეს ჯარი წაყვანილია კონსტანტინოპოლისა, ჩატალჯისა და ადრიანოპოლის გარნიზონიბიდან.

ბულგარეთის ოფიციოზი „ეხო-დე ბულგარი" იძულებულია აღიაროს, რომ ვარნაზე ზარბაზნების დაშენამ ქალაქს დიდი ზარალი მიაყენა: ტურან-სევერინიდან იტყობინებიან, რომ დუნაიზე გაიარა ავსტრიის ორმა გემმა, რომელსაც მიყვებოდენ პატარ გემები ამუნიციით დატვირთული ბულგარეთისათვის. გერმანელები შეუდგენ დუნაის ნაპირის გამაგრებას სერბიის მხრით.

სერბიელთა გადმოხვეწილები.

იტალიიდან მოსული ცნობებით, ბულგარეთის მაკედონიიდან გადახვეწილი სერბიელთა ოჯახების გადასახლება გძელდება. გუშინ ბიტოლიდან საბერძნეთის საზღვარზე რამდენიმე ათეული ოჯახი მიაწყდა. ადგილობრივი მკვიდრნი სიხარულითა და პატივმოყვარეობით იღებენ გადმოხვეწილებს. საბერძნეთის მთავრობა ენერგიულ ზომებს ხმარობს გადმოხვეწილთა მძიმე მდგომარეობის შესამსუბუქებლათ.

უარის ყოფა.

ოფიციალურათ უარყოფენ ხმებს საბერძნეთის ჯარის დემობილიზაციის შესახებ. ამ ჟამათ შესაძლებელია მხოლოდ სათადარიგო ჯარის დროებით დათხოვნა და ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც გაწვეული იქნებიან რეზერვისტები.

გერმანეთის პლანი.

მაღალ დიპლომატიურ პირს პეტროგრადის დეპ. სააგენტოს კორესპონდენტისათვის უთქვამს, რომ გერმანელების განზრახვაა გასწმინდონ მაკედონია მოკავშირეთა ჯარისაგან, ვიდრე კონსტანტინეპოლისკენ გაემართებოდნენ.

—

კონსტანტინოპოლიდან იტყობინებიან, რომ ვანგენგეიმის მოადგილეთ გრაფ ვოლფ—მეტერნიხს ასახელებენო.

გიორგი ვასილის ძე და ანნა მიხეილის ასული, ილიკო და გრიშა დარდაგნები და სონა ნემსაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველნი საყვარელის შვილისას, მეორენი ძვირფასის ძმისას, ხოლო მესამე დაუვიწყარის მამიდაშვილისას,

ვლადიმერ გიორგის ძის დარდაგნისას,

პანაშვიდი დილა-საღამოს. მიცვალებულს გამოასვენებენ გრანდ-ოტელის სასტუმროდან საღამოს ხუთ საათზე და წაასვენებენ ქუთაისის საკათედრო ტაძარში, საიდანაც 29 ოქტომბერს, წირვის შემდეგ 12 საათზე წაასვენებენ სათირჩხის სასაფლაოზე დასაკრძალავად.

ბულგარეთი.

სოფიიდან იტყობინებიან; ფინანსთა მინისტრი ტონჩევი, სამეფოს უმაღლესი პირების თანხლებით დღეს გერმანეთისკენ მიემგზავრება, სადაც ერთი თვე დარჩება ფინანსიური საკითხების მოსაწესრიგებლათ, თანახმათ გერმანეთის მთავრობის დაპირებისა.

—

დღევანდლამდი ბულგარული გაზეთები ხმას არ იღებენ ბულგარეთის სანაპიროებზე ზარბაზნების დაშენის შესახებ რუსეთის ფლოტისაგან. ბულგარეთის მთავრობის მოწყალობით, ბულგარელებმა დედე-აგაჩ—ოკჩილარის რკინის გზა დაიკავეს და ბულგარელი ყარაულები დააყენეს.

ქრონიკა.

რუსეთი.

იურიევის უნივერსიტეტი.

ქალაქ ნიჟ. ნოვგოროდის წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს იურიევის უნივერსიტეტის ნიჟ. ნოვგოროდში გამოტანაზე. ამის გამო, პროფ. პოკროვსკიმ რომელსაც მინდობილი ჰქონდა, იურიევის უნივერსიტეტის საქმის მოწესრიგება, მიმართა უფ. ს. და სთხოვა რომ დაეთმო მოედანი ზომით 300 კვად. საჟ. უფის მცხოვრებნი პროფ. პოკროვსკის წინადადებას თანაგრძნობით შეხვდენ, თუმცა ბიკოვსკიმ განაცხადა, რომ ქალაქის საბჭოსაგან ასე უეცრად ამ საკითხის გარკვევა მოუხერხებელიაო, მიუხედავათ ბიკოვსკის წინადადებისა სხვა ხმოსნებმა განუცხადეს, რომ პროფესორ პოკროვსკის წინადადება დაუყონებლივ სისრულეში უნდა იქნეს მოყვანილიო. შესდგა კომისია რომელიც ორ-სამ დღეში გადასწყვეტს საკითხს, ვინაიდან პოკროვსკიმ წინადადება მისცა, რომ მას დიდ-ხანს მოცდა არ შეუძლია.

—

ხარკოვის უნივერსიტეტის რექტორმა აცნობა განათლების მინისტრს, რომ ორგანიზაცია პარალელური კურსებისა მედიკურ ფაკულტეტზე უკვე დასრულებულია. და პირველ კურსზე ირიცხება, 250 სტუდენტი. რადგან მედიკურ ფაკულტეტზე მეტი ადგილი არ იყო მრავალი სტუდენტები ჩარიცხულ იქნენ სხვა და სხვა ფაკულტეტზე. უარი უთხრეს უადგილობის გამო, 90 სტუდენტს. სულ კი მედიკურ ფაკულტეტის პირველი კურსის მსმენელები ხუთასია (500).

მიუხედავათ სტუდენტების ასეთი დიდი რიცხვისა მეცადინობა რიგიანათ მიდის.

—

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ ბათუმის განყოფილების გამგეობიდან მიიღო ცნობები აწიოკებულ აჭარელთა რაოდენობის შესახებ. შავშეთში დამწვარია 15 სახლი, არდაგანის რაიონში 43 სოფლიდან გადარჩა მხოლოდ 9 სოფელი, დანარჩენი სრულიად განადგურებულია. 20000 მცხოვრებიდან დარჩა მხოლოდ 2000 ამათგან 1000 არავითარი საშუალება აღარ მოეპოვება არსებობისათვის. ართვინის რაიონში 25000 მცხოვრებიდან დარჩა მხოლოდ 100 კაცი, რომელნიც დიდ გაჭირვებას განიცდიან. მურღულის რაიონიდან დარჩა მხოლოდ 60 ოჯახი გინიის ნაწილი სრულიად დაცარიელებულია:

ვაჭარ-მრეწველთა პოლიტიკური პლატფორმა.

პეტროგრადში ამას წინათ ვაჭარ-მრეწველთა კრება მოხდა, რომელზედაც გადაწყდა განსვენებულ ავდაკოვის ნაცვლათ ვაჭარ-მრეწველთა საბჭოს თავჯდომარეთ ცნობილი პროგრესისტი, სახელმწიფო დუმის წევრი ა. კონოვალოვი წამოაყენონ. იმავე კრებაზე სურვილი გამოსთქვეს, რომ ვაჭარ-მრეწველთა საბჭო პროგრესისტთა პარტიას შეუერთდეს.

შაქრის ნაკლებობა პეტროგრადში.

პეტროგრადში შაქრის ნაკლებობაა. ამის გამო გრადონაჩალნიკმა ბრძანება გასცა, გრადონაჩალნიკის კანცელარიის სასურსათო განყოფილებიდან შაქარი გამოიტანონ და თითო განყოფილებას სამი ვაგონი შაქარი დაურიგონ საპოლიციო ნაწილებში მცხოვრებლებზე გასაყიდათ. თითო მყიდველს ორ-ორი გირვანქა შაქარი მიეცემა.

პროგრესისტებთა შორის.

დღეს მოხდა პროგრესისტთა ფრაქციის კრება, რომელზეც მონაწილეობა მიიღეს ცენტრალური კომიტეტის წევრებმა და პარტიის ზოგიერთმა გამოჩენილმა წარმომადგენლებმა. კრების მიზანი იყო სადღეისო საჭირბოროტო საკითხების გარჩევა. კრების მონაწილეთ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს მთავრობის უკანასკნელი დროის პოლიტიკა და დიდი ყურადღებით შეჩერდენ ფინანსიურ და ეკონომიურ ზოგიერთ საკითხზე. სათათბიროს მოწვევის საკითხის განხილვის დროს, კრებამ ის აზრი გამოიტანა, რომ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს საკანონმდებლო პალატამ თავისი მუშაობა ამ ახლო მომავალში განაახლოსო.

—

მინისტრთა საბჭომ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მართველის წარდგენით, გადასწყვიტა გადასდვას 25 მილ. მანეთი გადახვეწილთა დასახმარებლათ განსაკუთრებული თათბირის განკარგულებაში.

ქართული პრესა.

ქიათურაში არსებობს „ერთი ცნობილი მიმართულების ჯგუფი". ამ ჯგუფმა გაიჩინა თავისი საკუთარი ორგანო „მეგობარი", რომელ ორგანოსაც როგორც სჩანს არ მოსწონს ისინი ვისაც თავისი საკუთარი აზრი აქვთ საქართველოსაც და ქართველების დღევანდელსა თუ მომავალ ყოფნაზე...

„მეგობარს", როგორც ქუთაისში გავლენიან პირთა ორგანოს, (გავლენიანს თავისის მდგომარეობითა და არა აზრებითა და მოქმედებით, რასაკვირველია), ალბათ არ ეპაშნიკება რომ ყველა მათ არ ემორჩილება და ისე არა ჰფიქრობს, როგორც ისინი ჰფიქრობენ და დიდკაცუ-

ჩვენება.

გაზაფხულის პირველ დილას განთიადის დანახვაზე,
მზის სხივების მოლოდინით შევყურებდი კდემით ცაზე,
და იმედი მომავლისა გულს მითბობდა მადარებდა,
იგი წამი უდარდელი ნორჩსა ბავშსა მადარებდა.

—

მაგრამ ცაზე ვეღარ ვნახე მოლოდინის წმინდა სახე,
და ის რწმენა მისწრაფება ისევ გულში დავიმარხე:
მზეს ეფარა ღრუბელთ გროვა სხივს უკრთობდა აბნელებდა,
ელვის რკალი ღრუბელს სჭრიდა, ბრძოლის ეტლსა დაეძებდა.

—

ცა მრგვინავი მეხს გვტყორცნიდა, სისხლის წვიმას გვიმზადებდა.
დედამიწა შიშით ძრწოდა, მაგრამ ხსნას კი ვერ პოვებდა.
მე შევშინდი. და იმავ დროს ცაზე სისხლის დვეთი მოსწყდა,
მკერდს დამეცა, გამიგმირა და შიგ გულში ჩასისხლხორცდა.

—

გამოვფხიზლდი... კვალად სისხლი, კვალად ბრძოლის ეტლთა ნება,
ღმერთო! ღმერთო! რასაცა გთხოვ ნუ თუ იგი არ იქნება?!
რომ ძმათ სისხლი არ იღვროდეს, არ სძიძგნიდეს მათ ლეშს სვავი,
და სხვა დილა გაზაფხულის ვნახო ტურფად მონართავი.

პასიკო.

გრიშიკო მწერალი.

(მოთხრობა).

I.

მკათათვე იყო. სიცხე-პაპანაქებას სოფ. ხაზანის სიმინდი პირ-წმინდათ აეშუშა. ყურებ დაგრეხილი ცარიელი ჩალები ყანებიდან საბრალოდ გამოიყურებოდენ. ილაჯ გაწყვეტილი რუები წელ-მოწყვეტილივით ძლივს მილიკ-ლიკობდენ. წინათ მათზე თითო თვალი წისქვილი ბრუნავდა, ახლა კი მხოლოდ პატარა ბალღებისა, ბატებისა და კვატების საჭყუმპალაო გამხდარიყვენ. სოფლის გოგო-ბიჭები ჩრდილოებს ქვეშ თამაშობდენ: ზოგი რიკ-ტაფელას, ზოგი „მალულაობის", უმეტესს ნაწილს კი ყანების ნაპირებზე საქონელი საბალახოდ დეჰყავდათ.

— ხიიი... მაამოო.. შე საძაღლე, შენ გაგაპო მამალმა მგელმა, ძაღლების „არ შივო", რაღა მაგ სიმინდებს წეელამუნები, ისეც სიცხით სულ გაფშუკულია, აქეთ გამოდი შე ვერანა, შენა! მისძახოდა პატარა ბიჭი თვისს ხარსა და მსუნაგ პირუტყვს თავისკენ ეწეოდა.

— დეედოო,.. დეედოო... არიქა! მოაბრუნე, თუ ძმა იყო, ეგ ძროხა, თორემ ამოაგდო ყანაშის—ძახოდა ყანის ბოლოში მდგომი მეორე ბიჭი, თვისს ტოლ-ამხანაგსა.

გვალვისაგან ყველაზე უფრო შეწუხებულიყო ამ სოფლის მემამულე, ქვრივი ელენტია გაუმაძღარაძისა. იგი თვისის ეზოს დიდის კაკლის ძირში გამოსულიყო, ღელეზე ხელ-პირს წყლით იგრილებდა და ბრაზ-მორეული ბუზღუნებდა:

— დეიწვი ბარემაც, დეიდაგე, რაღას უყურებ? წრეულს სარჩო არ მოვა, ადამიანს დარჩენა გაუჭირდება! სიმინდს სული არ უდგია, კიდო გასაკვირველია, რითი დგას ფეხზე, ორ თვეზე მეტია ციდამ ნამი არ გადმოვარდნილა! დეიმხვე და დექეცი ჩემის ცოდვით ბარემ! მე ვატყობ ჩემს ყანებში წრეულს მოსავალი მესამედსაც ვერ იზამს. „ყიშიბი", დეიმშით და ამოვარდითო ტირიან: ამ წლიწადმა ცეცხლი დაგვიდო და ჩვენს ულუფას ძალლი არ იქნებაო.

ამ მესიათს რომ მორჩა, ელენტიამ გოგოს გადასძახა: ყანებში დაბერილი საქონლის პატრონები ხომ არ ამოჩენილან?

მამამთილ ქვრივს ელენტიას ეს ლაპარაკი არ დაუთავდა, რომ უცებ, უკანიდან, წელში მოხრილი, ფეხ-შიშველი მერი-კაცი წამოადგა თავზე.

— სალამო მშვიდობისა, ქალბატონო, — დესალამა ახლად მოსული გლეხი ელენტიას.

— მადლობით, — თვალის წყლულით უთხრა მან მაგიერი გლეხს.

— რა სიცხეა, ქალბატონო, გაჯენტა სიმინდი არ მოვა წლეულს, სულ მთლად ერთიანად ყანები გადამხმა.

— შენი ყანა რაგვარია, მართლა წლეულს?

— ნუღარ მკითხავ, შენი ჭირი შემეყაროს, რაღა, ერთი ძირი სიმინდი არ ივარგებს, ისეა ამოშუშული.

— შენი საქონელი ხომ არაა აქანა დაშვებული?

— დიახ, შენი ჭირიმე, იმ გასაცვეთელ გოგოს ყანის ნაპირებზე საბალახოთ გაატანი, გოგო—ბიჭებში გარეული პატარა ხანს იქით ქე მობრუნებულა, მაგრამ ამასობაში, საქონელი შენს ყანაში შესულა და ორი ძირი სიმინდი მეეჭამა, „წანამხდარის" ქე მოგართმევ, იმას რავა შეგიწყენ, რავა ღმერთი გამიწყრება, „გამოსალოცავი" სიმინდიც რომ არ მევიდეს ამ წელიწადში.

— არა, თუ ღმერთი გწამდეს, ეს მითხარი, ამისთანა უბედურ გვალვაში „ნამუშევრის" წახდენა მადლია!!.. არ შემიძლია ბიძია, მაგრამ ილაჯი საქმის ვერ გადარჩები. ჩვენ ის ვქნათ: კეთილ-სინიდისიანები მოვიყვანოთ, შენი საქონლის წანამხდარი შევაფასებინოთ და მერე ერთი ორი უნდა მომცე, რას მერჩი, ხომ უყურებ სიცხით ფეხზე აღარაფერი დგას! თუ არა და მომიყვანე, ვინც გინდ შენი, გინდ ჩემი, ამას სად წაუვალ, — ეკამათებოდა სეხევნ გლეხს ელენტია.

— შენი შვილების სადღეგრძელოდ შამიტევე, არა ვარ მტერი შენი, გამოუწყვლად კრონდა მოგიხდეს დოუსახლდე. სახლში ხმა მაღლით იქოურობა აყროლებულიან, თუ ახლა დამინებებ, მგონია, მარ დამსხვრიან თვალსა, — იმუდარებოდა გლეხი.

— მე შენი ლაპარაკი არ მესმის, მაშ შორდი ჩემს მე, შენი თავი არა მაქვს, ჩემს დავიდარებს კი არ უყურებ შენ; ხვალ „ჩქარ" უნდა სადავო ადგილზე, ხვალ ჩემი თავი ცეცხლი დამიკიდია, იმ ადგილს თან გადაყვება, ეს მომდგება აქ და დამიწყებს რაცხარაცებს.

— მამაჩემი სული არ მიმდევს ამ შენს საქონელს, რამე წაგაგებინო, ხომ გაგიგონია, შე დალოცვილო...

— მე რაც ვთქვი ისაა და ის. შევიყვან კაცებს, შეფაფასებინებ წანამხდარს და რაც დადგება გადაიხადე, ამაზე მე ერთ ბეწვს არ დავთმობ.

ელენტიას, მართალია მოლოდინი ჰქონდა ქ. ოლქის სასამართლოს წერილის. ეს ერთი წერილი ჰქონია მოწვეული ამ შემთხვევაში სადავო ადგილზე, მაგრამ ეს უკანასკნელი მოწვევა კი ისეთი იყო, რომ ახლა უნდა გადაწყვეტილიყო საბოლოოდ ყველაფერი. მისი ადგილები ყველა „ნაცოდვარი" იყო; იმ ადგილებზე კაცს არ გაუხარია. თუ ვინმე გადაშენებულა, თორემ მოშენებული არავის უნახავს. ეს ადგილები ხელიდან ხელში გადადიოდა. წინათ ყოფილიყო „სანეფო", მერმე ვიღაც თავადს მეფის გაცერემონებისთვის, ტყვილადა, ფეშქაშად რგებოდა ამოეღო ხვალამდინ. თავადისგან ბევრი გადაიყიდეს, ბოლოს ვიღაც შორეულ ნათესავს დაჰპატრონებოდა, იგი კი, „ამოწყვეტილიყო", რომ ერთ ოხერ დედაკაცს ეპატრონებინა ადგილები. ამ დედაკაცს ჰყოლოდა სამი ვაჟი, რომელთაგანაც ერთი მომკვდარიყო, მეორე უშვილ ძირით გადასულიყო და მესამესაც—საშუის ხელში, ორი ქალიშვილის ხელში იყო დღეს ეს მამული.

ეს ორი ქალიშვილი, მამის სიკვდილის შემდეგ, დედის ამარა დარჩენილან, დედას კი ოელადერი, მამულებისათვის შეძენა თანდათან. რაც კი ქალიშვილების ბიძიების ადგილები იყო გაყიდული იქაურ გლეხებზე, ყველას მას დაუბრუნებია, ზოგი ძალით, ზოგი ნებით. ელენტია საშინელი ბოროტი იყო, მისი შებედვისაც კი შიშობდა იქაურ გლეხებს.

თუ ვისმე ადმართინებოდა მისი მამულიდან მიღებული ადგილი, ჯერ მამასახლისს-მწერლის დაარიგებდა, როგორც დაეცნილი ეს ადგილი, მერმე, თუ ამით ვერას გახდებოდა სხვა ხრიკს მოიგონებდა, ... ამისთანა სიმამაცით ელენტია, რომ იტყვიან, ცეცხლს ჰკიდებდა თვალებიდან. მის კლანჭებს ვერც ერთი გლეხი ვერ გადურჩებოდა. ამნაირად,

რად—ისე, როგორც ბრძანებასა და ამ ნაბრძანების ასრულების ჩვეულ ადამიანსა სჭირს ხასიათად,—მაღლიდან დაბლა გადმოიძახის:

> აზრის გამოცვლა, ძველი ამხანაგების დაშორება კიდევ არ მოასწავებს დეზერტირობას რომელიმე ჯგუფიდან, პარტიიდან. შეიძლება ერთ ოჯახში მცხოვრები ძმები გაიყარონ და თითოეულმა მათგანმა თავისი ოჯახი გაიჩინოს, თავისი ინტერესებისათვის იშრომონ, სხვა და სხვა გზით დაიწყონ სიარული, მაგრამ ძმური, მეგობრული კავშირი არ გაწყვიტონ, ერთმანეთის პატივისცემა არ ამოიფხიკონ გულიდან. მაგრამ შეიძლება იმნაირი შემთხვევაც, როცა გაყოფილი ძმები ერთმანეთთან ჩხუბის მეტს არაფერს აკეთებენ, როცა ოჯახიდან წასულები მეტზე არაფერზე ფიქრობენ—ძველი დატოვებული ოჯახი როგორმე გააუპატიურონ, შურის ძიებით, ლანძღვა-გინებით, ათასნაირი ხრიკებით მას ძირი გამოუთხარონ.
>
> პირველ შემთ-ვევაში ძმებს პირნათლად შეუძლიათ შეხვდენ ერთმანეთს და თუ რამე საზოგადო საქმე გამოუჩნდათ, ერთად გაებან უღელში და ყვედრებითა და სიძულვილით ერთმანეთს გული არ მოუწამლონ.
>
> მეორე შემთხვევაში ძველ ოჯახს მოცილებული. ძველ ახამაგებს დაშორეეულები იქცევიან **დეზერტირებათ**. დეზერტირი კი უსათუოდ მტერია, მის გულში სიძულვილი და წვრილი შურიანობა სუფევს. აი, რის გამოც ამნაირი დეზერტირი, როგორც კი მოშორდება იმ პარტიას, რომელშიც დაიბადა, როგორც საზოგიდოებრივი დ პოლიტიკური არსება, მაშინათვე ეძებს შემთხვევას თავისი ძველი მოძმეები სასაცილოთ აიგდოს მათი მიმართულება სრულებით დ გმოს ძველ ოჯხს შეაფურთხოს დ ტალახი მიოსცხოს. პსიქოლოგიურათ ამნაირი მოვლენა ადვილი ასახსნელია: თავისი ძველი ამხანაგების და მათი მიმართულების გალანძღვით, ვითამ და ამართლებს მის დეზერტირობას, როგორც თავის სინიდისის წინაშე, აგრეთვე გარეშე პირების თვალშიც,
>
> შეუძლიათ დეზერტირებს ბეჯითი პარტიის დაარსება? ძალიან ვეჭვობ! დეზერტირი გაქცევას დაჩვეული, ახალ საქმესაც ადვილათ გაექცევა... კაცი, რომელიც გაკივის, რომ პარტიის, სოციალიზმის მე ალარაფერი მრწამსო, კაცი, რომელიც გუშინ ამტკიცებდა, რომ ის წარმომადგენელია პარტიის უკიდურესი მიმართულებისა და დღეს თავგამოდებით ყვირის, რომ ის **პარტიის** მომხრე კი არ არის, არამედ **პატრიის**,—ამნაირი კაცი პატრიასაც ისე ადვილად მოშორდება, როგორც პარტიას.
>
> მე არ მეგულება ჩვენში იმნაირი მიმართულება, იმნაირი ჯგუფი, რომელიც თავის სამშობლოს სიყვარულით არ იყოს გატაცებული და სამშობლოს განვითარებას, მის აღორძინებას, მის კეთილდღეობას არ ისახავდეს თავის მოქმედების მიზნათ. და როცა ამნაირ პირობებში გამოდის დეზერტირების გროვა და პრივილეგიის ალებას ცდილობს საქართველოს სიყვარულისას, შიში მებადება: ვაი, თუ ან დეზერტირები ცდებიან, ან სამშობლო შეცდეს...

ეს ყველა კარგი, მაგრამ ვერ გაგვიგია: ვინ არის „დეზერტირი" ის, ვინც „ჯგუფურ" ინტერესებზე **სამშობლოს ინტერესებს** უფრო მაღლა აყენებენ, თუ ის, ვინც „პარტიის" ქსელში გაბმულა და სხვას ვერარასა ხედავს?

კაკოს ჩივილი.

(ილიას ხსოვნას)

კავკასის მთათა მწვერვალებს მზის ელვარებამ აკოცა,
ააფერადა მიდამო,—გამოაღვიძა კაკოცა.

კაკომ ყვავილი მოსწყვიტა პირველი გაზაფხულისა,
მონახა მგოსნის საფლავი, საფლავი განგმირულისა.

მივიდა... თავი ჩაღუნა... მწუხარედ წამოიხარა...
წამებულს ვარდი დაადო და იქვე მუხლ-მოიყარა...

—როს განახლების ნიავი ყოფნის ველს ალალანებდა
რად მომიკალით ის, ვინაც მიმღერდა, მათაყვანებდა?!..

წამოიძახა... მოაწვა სევდა წამებულ სულისა
და ცივ საფლავზე დათოვა ცრემლები სინანულისა!..

27 ოკტომბერი. სიმ. წვეელი.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

გუშინ ქუთაისის სამაზრო სამხედრო ჯარის კაცთა გასაწვევ სამმართველოში დაიწყო ხელახალი გადასინჯვა იმ სათადარიგო ჯარის კაცებისა, რომლებიც განთავისუფლებული იყვენ 1914 წლ. საყოველთაო მობილიზაციიდან. დღეს მოთავდება სოფლებიდან ჩამოსულებს და ხვალ მოხდება შემოწმება ქალ. ქუთაისში მცხოვრებ სათადარიგო ჯარის კაცებისა.

◆ შორაპნის საკრედიტო ბანკმა სამიწად მოქმედო დეპარტამენტიდან გამოიწერა შაბიამანი შორაპნის რაიონის მევენახეების დასაკმაყოფილებლათ.

◆ სოხუმის ქალაქის მოურავმა კავკასიის ქალაქთა კავშირის წინაშე შუამდგომლობა აღძრა სესხის აღების შესახებ დაჭრილი ჯარის კაცთათვის სავადმყოფოს ასაგებათ.

◆ ქუთაისში სდგება რუსების დრამატიული წრე. გამგეობის ასარჩევათ კრება ამ დღეებში მოხდება.

◆ ნაქერალას ქედზე უკვე ჩამოთოვა. ქუთაისში მეტად აცივდა.

◆ ს. ხოპის მცხოვრებთ (ოზურგეთის მაზრა) ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო დაარსონ მომხმარებელი საზოგადოება „ძმობა".

◆ 12 ოქტომბერს ს. ლიხეთის (რაჭის მაზრა) მცხოვრებ მინა ჯაფარიძეს თავს დაესხენ ავაზაკები, წაიღეს 145 მან. ფულით და 111 მან. ქალის ნივთები. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, ერთი ბოროტ გამზრახველი ყოფილა ს. ნაპირხაუს (ზუგდიდის მაზრა) მცხოვრები ლადი დ. დარსალია. დანარჩენი ბოროტ-გამზრახველები მიიმალენ.

◆ 9 ოქტომბერს, თბილისის ქუჩაზე მცხოვრებს ნიკოლოზ ს. ბაგრამს ვიღაც უცნობმა მოპარა 14 მანათის საოჯახო მოწყობილება. ბოროტგამზრახველი ჯერჯერობით ვერ იპოვეს.

◆ 8 ოქტომბერს, ტელეფონის ქუჩაზე ა. მ. კარკალიას სახლი გატეხეს და მოიპარეს 100 მ. საოჯახო საქონელი: ქურდი დაიჭირეს და აღმოჩნდა ვიღაც კაშია, რომელსაც უნახეს მოპარული საქონელი.

◆ 18—25 ოქტომბრამდი ქუთაისში შემოვიდა შემდეგი ვაგონი სანოვაგე: პურის ფქვილი 20 ვაგ. კარტოფილი 3 ვაგონი სიმინდი 3 ვაგონი ლახანა ფხალი 2 ვაგონი. ნავთი 11 ქვაბი, შეშა 46 ვაგონი, მაზუთი 7 ქვაბი, ქვანახშირი 3 ვაგ. თივა 2 ვაგონი, ხახვი 763 ფუთი და სხვადასხვა საქონელი 7453 ფუთი.

◆ ქუთაისის საოჯახო კომისიამ ამრიგათ გაანაწილა ვაგონები სხვადასხვა სანოვაგის მოსატანათ; პურის ფქვილისათვის—16 ვაგონი სიმინდისათვის 8 ვაგონი. მარილისათვის—3 ვაგ. თივისათვის—4 ვაგონი, ქატოსათვის 4 ვაგონი, სხვადასხვა სანოვაგისათვის 15 ვაგონი.

◆ საფირჩხიის დავით კლდიაშვილის სახელობის უფასო წიგნ-საცავ სამკითხველოს გამგეობამ თხოვნით მიმართა ქუთაისის ქალაქის გამგეობას, რომ უფასოთ დაუთმონ სამკითხველოსათვის საჭირო სალორიის შეშა.

◆ საფირჩხიის სამკითხველოს მინა ტყაბლაძემ უფასოთ დაუთმო ერთი წლით გაზეთი „ზვირთი".

◆ ქუთაისის სამღვდელოების სანთლის კანტორას ამ დღეებში მოუვიდა 100 ფუთი ჩამოსასხმელი სანთელი.

◆ ჩვენმა რედაქციამ მიიღო ი. ოცხელის, თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფიანის მიერ შედგენილი „ქართული ანბანი". წიგნი ლამაზათ არის გამოცემული შიგ 48 გვერდია. იყიდება სამ შაურათ.

რას ჰფიქრობენ სომხები?

გაზ. „ბაქუს" 24 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილია წერილი ა. ჩ—სა სომხების დღევანდელი სულიერი განწყობილების შესახებ (ამნაირი შინაარსის წერილი იყო მოთავსებული ამას წინად „კავ. სლ."-შიც). მოგვყავს აქ ამ წერილის თარგმანი:

„ღრმა რეაქციამ მოიცვა სომხების ფართო წრეები. აღარა დარჩა რა იმ სტიქიური აღფრთოვანებისა, რომლითაც მიეგებნენ სომხები შარშან რუსეთის გალაშქრებას ოსმალეთის წინააღმდეგ. ხალხი თითქოს წელში გატყდა და გაშეშდა თავის შეუბრალებელის ბედის წინაშე და ინსტიქტიურად მოელის კიდევ უფრო დიდს განსაცდელს.

სამწუხაროდ სასოწარკვეთილებისა და უიმედობის ტალღა ძლიერად მისწვდა სომხის ინტელიგენციის და ბურჟუაზიის ნაწილმაც, რომლისათვის სომხების ხოცვაჟლეტა ოსმალეთის სომხეთის პოლიტიკური იდეალის სრულს დაღუპვას მოასწავებს.

„რის მაქნისია ეხლა თავისუფალი სომხეთი, როდესაც იქ სომხები აღარ არიან"! წამდაუწუმ გაიძახიან სასოწარკვეთილები და სულმოკლენი. მათ ერთი ნაბიჯი ლა დარჩენიათ, რომ სრულებით უარჰყონ ყველა ის გზა და საშუალება, რომლის შემწეობით სომხებს უნდათ თავისუფლების მოპოვება.

ამ მიმართულების სათავეში სდგას გაზეთი „მშაკ", რომელიც ცხარე აგიტაციას ეწევა სომხეთა საზოგადოებრივ მოძრაობის მეთაურების წინააღმდეგ. გაზეთი ყველაფერს სომხის პოლიტიკურს მოღვაწეებს და მათ პოლიტიკას აბრალებს.

თუ კარგად ჩაუკვირდებით იმას, რაც ყოველდღე იბეჭდება ეხლა სომხურ გაზეთებში, დავინახავთ, რომ სომხის საზოგადოების შეგნებული ნაწილის კამათი დღეს ორი საგნის შესახებ ტრიალებს.

პირველია: რამდენად არიან პასუხისმგებელნი იმ უბედურებისთვის, რომელიც დაატყდათ სომხებს, სომხური ხელმძღვანელი ორგანიზაციები, და შეიძლება თუ არა კვლავ მათ ხელში დარჩეს სომხის ხალხის ბედი?

მეორე: როგორი უნდა იყოს ეხლა სომხების პოლიტიკა სომხეთის მკვიდრთა ხოცვა-ამოჟლეტის შემდეგ?

ჩვენ უკვე ვიცით, თუ როგორის მოურიდებლობით და სიმტკიცით მოამზადეს და შეასრულეს გერმანელებმა და ახალგაზდა ოსმალოებმა სომხეთის „გაწმენდის" საქმე. ვიცით, რომ სომხების ამოჟლეტა საჭირო იყო ჩვენი მტრებისათვის. ამიტომ ეხლანდელი ომის პირობებში ოსმალეთის სომხების მდგომარეობაზე გავლენას ვერ იქონიებდა არსებითად სომხების ორგანიზაციების ესა თუ ის პოლიტიკა.

რასაკვირველია, სომხებს ბევრი შეცდომა მოუვიდათ, ეს ყველასათვის ცხადია. მაგრამ ეს აუცილებელი იყო და მიმდინარეობდა არა ორგანიზაციების პოლიტიკური ორიენტაციიდან, არამედ გამოიწვია ორგანიზაციების ორგანიზაციების მოუწყობლობამ, მტკიცე გეგმის უქონლობამ, უდისციპლინობამ, რაიც შედეგია სომხის ერის საერთო პოლიტიკური უმწიფობის, და ამის პასუხისმგებელნი ოდნავად ვერ იქნებიან ჩვენი პოლიტიკური მოღვაწენი.

„ყველა ისინი, რომლებიც დღეს წინასწარმეტყველებად და ღრმა დიპლომატებად გამოდიან, ამბობს ვარანდიანი, ერთი საუკეთესო წარმომადგენელი სომხების პოლიტიკისა: რომლებიც დღეს „მამაცურად" გვტყორცნიან ისრებს და ცდილობენ დაამტკიცონ, რომ სხვაფერ შეუძლებელიც იყო, რომ სომხის მოხალისეთა ჩარევა ომში აუცილებლად გამოიწვევდა ჩვენი ხალხის საშინელს ჟლეტას და ყველაფერი ეს წინდაწინ უნდა გვეთვალისწინებია, ყველა ესენი ამახინჯებენ ფაქტებს და თავის საკუთარ სულიერ განცდასაც. თვით ყველაზე უფრო გულცივი, გონიერი, და ბრძენი სომეხი დაემორჩილა საერთო ეროვნულს გატაცებას და რომელსამე ორგანიზაციის წინააღმდეგობაც რომ გაეწია, მოხალისეთა რაზმები მაინც სტიქიურად იფეთქებდნენ... ეს მეტად აშკარაა. ყველა ნათლად ხედავდა იმედს და ყველას წინასწარ ესმოდა გამარჯვების ხმა".

„ჰორიზონ"-სა და „არევ"-ში არა ერთხელ იყო აღნიშნული, რომ „მშაკის" დაგვიანებულს კრიტიკოსებს და მათ თანამოაზრეებს საბაბი მიაჩნიათ მოვლენის მიზეზად. შესაძლებელია, რომ სომხის მოხალისეთა რაზმების გალაშქრება საბაბი იყო სომხების ამოხოცვისა, მაგრამ არა მიზეზი ამის. განა ავსტრიელ პოლონელების რაზმების შედგენამ გამოიწვია რუსეთის პოლონელების აკლება და დახოცვა?... ახალგაზდა ოსმალებს უნდოდათ საბაბი და საბაბს ყოველთვის იშოვნიდნენ...

სომხების ამოჟლეტა რომ სომხის მოღვაწეებს დავაბრალოთ, ეს იქნებოდა დავეთანხმოთ ოსმალეთისა და გერმანიის მთავრობას, რომელიც აცხადებს: სომხები აუჯანყდნენ ოსმალეთს და იმიტომ დაისაჯნენო.

მსახიობი ქალი

ელ. ანდრონიკაშვილი.

(წრევანდელი სეზონის გამო).

რაც შეეხება იმას, თუ როგორი უნდა იყოს ამიერიდან სომხების პოლიტიკის წრეები, რომელთა შეხედულობას გამოხატავენ „ჰორიზონი" და „არევ", დღესაც დარწმუნებულნი არიან, რომ მიუხედავათ ამდენი განსაცდელისა და მსხვერპლისა სომხებმა ისევ მხნედ და მტკიცედ უნდა განაგრძონ თავისი პოლიტიკური იდეალის განხორციელება. როგორც წინად, ისე ეხლა სომხეთის აღდგენა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ შეთანხმების სახელმწიფოები გაიმარჯვებენ. ამიტომ სომხებმა ყოველის ღონით ხელი უნდა შეუწყონ მათ გამარჯვებას.

დიდი სიცოცხლის ძალაა სომხის ერში. ბევრი ჭირი და უბედურება გამოუვლია. მას თავის ისტორიულს ცხოვრებაში. გაუძლებს ეხლანდელ უბედურებასაც. ხოლო სულით არ უნდა დავეცეთ. უნდა ვიბრძოლოთ ბოლომდის და განვაგრძოთ მოქმედება იმავე რწმენით, როგორითაც დავიწყეთ"!... ს. ფ.

უმაღლესი სკოლები.

„ყველაფრის გაკეთება, საწადილის მიღწევა მხოლოდ სკოლით შეიძლებაო" ამბობდა ფრანგ მეცნიერის „ვოლტერის ხანა-"ში მთელი ქვეყანა.

ვერც ჩვენი სამშობლო უარყოფდა ზემორე ჰწკარში მოქცეულ დებულებას.

მას როგორც თავის დამოუკიდებლობაში ულმობელ დაუძინებელ მტერთა წყალობით ჩამორჩენილს და ევროპიელ ხალხის საერთო სწავლა-განათლება-ყოფა ცხოვრების გაუცნობელს, აუცილებლად სკოლისთვის უნდა მიემართნა.

რუსეთის ფარგლებში მოქცევის, შემდეგ არაქათ გამოლეულმა საქართველომ სწავლა განათლების საქმე ერთმორწმუნე ძლიერ რუსეთს მიანდო.

იმთავიდანვე ჩვენს ქვეყანაში იხსნება სასწავლებლები, და მათ რიცხვს, თუ თვეობით არა, წლობით, მაინც ემატებოდა, რადგან ქართველი ხალხი არძით მუდამ მთავრობის კარებთან იდგა და ემუდარებოდა მთავრობას სკოლების გახსნას, რომელშიაც მრავალ ტანჯული მხარე ხსნას ეძიებდა.

ზემოდ ჩვენ აღვნიშნეთ ხალხის კეთილ დღეობისთვის სკოლის აუცილებლობა, ეხლა კი ვიტყვით, რომ სკოლით სარგებლობა **მარტოდ** მის დაარსება—სახელ წოდებაში **არ გამოიხატება**.

საქართველოში არსებულ სასწავლებელთა რიცხვს ჩვენთვის დღემდე თამამად შეეძლო გაეწია სათანადო საჭირო დახმარება—გამოეტანა ის სარგებლობა, რომლის მოტანაც შეუძლიან **ბუნებრივ სკოლას**, რასაკვირველია, ეს შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ იქაური სწავლება ჩვენი ქვეყნის ყოფა ცხოვრების დასაპირდაპირებლად შესაფერისი იქნებოდა. მაშასადამე, სკოლაში, **სწავლებას ჰქონია** უპირველესი ადგილი—მნიშვნელობა. ჩვენში არსებულ სკოლათა ხასიათს მკითხველი საკმაოდ იცნობს და ჩვენც არსებითად არ შევეხებით მის ხელ ახალ გამომზეურებას, მით უმეტეს, რომ ჩვენი საჭირო საგანიც სხვა არის.

წრეულს საქართველოს სხვა და სხვა ადგილებში გაიხსნა ახალ სახის პირველ დაწყებითი უმაღლესი სკოლები. რა თქმა უნდა, ეს მოვლენა სასიამოვნო სასიხარულოა, მაგრამ საჭიროა სიხარულით თვალებით არ დავბრმავდებოდეთ დღესვე მოკლედ მაინც შევეხოთ ხსენებულ სკოლის პროგრამა ხასიათს. ეს ახალი სასწავლებელი იგივე ძველი სამოქალაქო 4-6კლასიანი სკოლაა იმ განსხვავებით, რომ დღეს მისი პროგრამა უფრო გაადიდეს, ე. ი. უდრის გიმნაზიის 4 კლასს ოცხო ენებით. მომავალში აპირებენ პროგრამას უცხო ენებიც მიემატოს, ეს მოხდება ქალაქებში, მხოლოდ სოფლებში, ჩვენის ფიქრით, პროგრამა უცვლელი დარჩება.

სამშობლო ენის სწავლება პირველ დაწყებითი უმაღლეს სკოლებში სავალდებულო საგნად არ არის აღსარებული. მას ისწავლის ის, ვისაც „მოესურვება" ჩვენ გვახსოვს ასეთი „მოსურვებით" ადგილის დათმობამ რა ბედი არგუნა ქართულ ენას თბილისის 2 სახაზინო გიმნაზიაში. ქართველმა მოწაფეებმა დაღლილობის გამოისობით არ ინებეს მე-V გაკვეთილზე ქართულ ენისთვის დარჩენა, ბოლოს მშობლებმაც ისურვეს თავიანთ შვილების ზედმეტი შრომისაგან გათავისუფლება და თხოვნა შეიტანეს, რათა ეს მოსურვებითი სწავლა გაეუქმებიათ...

თითქმის, რაც ადგილები იყო მისი გაზდილების გაყიდული, ყველა დაიბრუნა და წაიღა თვისას.

ამ სოფლის მხოლოდ ერთმა გლეხთაგანმა გაბედა „უკმეხობა" და თვისი ნაყიდი ნაკვეთი ელენტიას არ დაუბრუნა. ამ სადავო ნაკვეთზე იყო, რომ ამბობდა იგი: „ხვალ ჩლენს მოველიო".

ელენტიას, რათაც უნდა დასჯდომოდა, უნდოდა ჩამოერთმია გლეხს გოგია რეხვიშვილისაგან მისი მაზლებისაგან ნაყიდი ადგილი. გოგიაშვილს ეს ადგილი აქაურ მემამულეებისაგან კანონიერად ეყიდნა, ნასყიდობაც გაეკეთებია, ასე, რომ პირველ ხინებში ელენტიამ იმ ნაკვეთის დაბრუნებისათვის პირი ტყვილად აიკავა, ვერა მოახერხა რა. საქმემ სოფლის ნაცვლიდან „ოკრუჟნი სუდამდე" იარა.

ორივე მხარეს დიდი ხარჯები მოსდიოდა, მაგრამ არც ერთი არ უთმობდა.

წევრის მოსვლის დღეს ელენტია დიდს სამზადისში იყო. მეზობელ მღვდელს შეუთვალა, მომეშველე რაღაც ნაირად, სასწაულთ-მოქმედი წმინდა გიორგის ხატი წამოასვენე, გასამრჯელოს კაის მოგართმევო. დაჰკლა ძროხა, იმ სოფლის ბოგლეები ყველა დაპატიჟა, ყველას, გამვლელს და გამომვლელს, ეხვეწებოდა, ემუდარებოდა, ვისაც რითი შეგიძლიათ დახმარებას ნუ დამაკლებთო, დღეს ჩემი ბედი და უბედობა გადაწყდებაო. „ღმერთო იმ „ყაზახს" ჩემს გულზე ნუ გადაარონიებ, იმან მომკლა, მომინარიკლა, რავა უნდა დავზოგო ის, სულ-ხორციანა მოვსპობ და ჩემს ჯიბრს იმას არ გავატანინებ; როგორ მიბედავს ის წუნწკლიანი, ჩემს ადგილს როგორ მართმევს? რამდენჯერაც დავხანი, იმდენჯერ იმან გამარგლა, მე მოვტეხე სიმიდი ყანაში, იმან ქე წამეღოლ; იმას შევარჩენ ამას? ჩემი ჯახირი და წვალება დიდათ დაუჯდება მას; ვნახოთ ბოლო როგორი იქნება;

ისე გაუხდი საქმეს, რომ სამთხოვლოთ გახდეს. ვინ მე და ვინ ის! კამეჩის მოჭიდავე ხარს რქა როგორ შერჩება! მე ლაჩაქი ალარ მხურია თავზე, თუ მისი ცოლ-შვილი შიშველ-ტიტველი არ დავყარე გზაზე"...

ამ ქადილში იყო ელენტია, რომ მამასახლისი ბოქაულის თანხლებით და წევრიც მოვიდა და სადავო ადგილთან გაჩერდა.

ამავე ადგილზე იდგნენ მომჩივან-მოპასუხეც, იქვე ჩამოდგენ მღვდელ-დიაკონი ჯვარ-სახარებით და წმიდა გიორგის ხატით. გოგიამ რომ წმინდა გიორგის ხატი დაინახა, ფერი ეცვალა, შეშინდა, ფიქრობდა გულში: ამ ოჯახ ამოსაწყვეტს ეს ხატი რაღათ უნდა, როდესაც ჯვარ-სახარებაა.

ხატზე დაფიცების გლეხს, საზოგადოთ, ძრიელ ეშინია და ამიტომ მიჰმართა წევრს:

— ბატონო! ხატი რაღა საჭიროა ჯვარ-სახარებასთან. წევრმა ლაზათიანათ გადაუბრიალა გოგის თვალები და რუსულად შეუკურთხა კიდეც. გლეხმაც შეატყო ალარაფერი გამოვაო და ბრძანებას დაემორჩილა.

გოგის ხატი მხარზე უნდა შეედო და ისე გაევლო იმ ადგილის მიჯნაზე, სადაც იგი გაივლიდა, საზღვარიც ის იქნებოდა, იმასა და მემამულეს შორის. ისიც ასე მოიქცა, მაგრამ ამდენს ტანჯვას გავლილი გლეხი ძრიელ შეშინდა და სწორედ გავლაც ვერ მოახერხა. შეიდო მხარზე ჯვარი და წავიდა, სიით თითონაც არ იცოდა, თითქმის სადავო ადგილი ნახევარზე მეტი ელენტიასაკენ წამოვიდა. ელენტიამ საქმე მოიგო. აი ასე იგებდა ადგილებს ეს დედა-კაცი და ხდებოდა ბოროტ მემამულეთ.

(შემდეგი იქნება).

წარმოდგენილი უნდა გვქონდეს აგრეთვე, თუ რა ხასიათისაა. ეს „მოსურვებითი“ სწავლა, სასწავლებლის მე-V—IV კლასში, როდესაც მოწაფე თითქმის დამწიფებულათ უნდა ჩაითვალოს და ორი სამი წლის შემდეგ ცხოვრებაში დამოუკიდებელ მოქმედათ უნდა გამოვიდეს „მოსურვებითი“ თუ ნების ქართული ენის სწავლის დროს იზეპირებს „მტრედს და გვრიტს“, რომელიც 7 წლის ბავშის სასწავლო მასალას უფრო შეადგენს, ვიდრე 16—18 წლის ვაჟკაცისას.

ხეირიანად ქართულ ლიტერატურას მე მგონი ჩვენს შავბნელ დროში მთელ საქართველოში არ სწავლობენ, მხოლოდ მთავრობის სასწავლებლებში, რომ იგი სულ უარყოფილი და აბუჩად აგდებულია—ეს ცხადზე უცხადესია.

მკითხველი დაინახავს, რომ საქმე ქართული ანბანის შესწავლა კი არ არის, არამედ ახალგაზრდათა ეროვნულ-გონივრულ აღზრდაში. თქვენ გამოიყვანეთ მთავრობის გიმნაზიის მე-VII კლასის ქართველი მოწაფე, დააყენეთ და თავის მოვალეობაზე ან თავის სამშობლოზე კითხვები მიეცით. რა თქმა უნდა, ვერაფერს გარკვეულს მოგიგებთ.

მტკიცდება, რომ „მოსურვებითი, სწავლა მავნებლობის მეტს არას გვარგუნებს.

ეხლა ვიკითხოთ რა სარგებლობას მოუტანს ახალი სკოლა საქართველოს დაბეჩავებულ გლეხს თუ აზნაურს.

ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ სკოლა მაშინ იძლევა სასურველ ნაყოფს, თუ იქ სწავლა სალი წესით სწარმოებს; ახლად გახსნილ სკოლებში თუ ქართული ენა სავალდებულო არ იქნება, „მოსურვებით“ მას ბევრი არც ისწავლის, რადგან, ზოგიერთ ჩვენს შეუგნებელ სოფლელს კიდეც გაეხარდება. შვილი რუსულს კარგად ისწავლის და მერე მთავრობის სამსახურში ადვილად მიიღებენო“, იტყვის იგი. სამოსწავლო დირექციას კი რა ენაღვლება? მისთვის ქართული რას წარმოადგენს? ახალ სკოლაში კურს დამთავრებული რა იქნება ჩვენი ქვეყნისთვის? არაფერი... ზედმეტად ჩაათვლილი, გზა აბნეული... თავის სამშობლოს, ეროვნების ვერ მცნობი.

ბოლოს თვით მამებიც იგრძნობენ, რომ თავიანთი შვილები ყალბ ნიადაგზე აღიზარდნენ და როგორც სამშობლოსთვის გამოუსადეგარნი არც თვით მშობლებს გამოადგებიან,—იგრძნობენ და გვიანდა იქნება.

ჩვენი ვალია ამთავითვე ჯეროვანი ყურადღება მივაქციოთ ახლად გახსნილ უმაღლეს პირველდაწყებით სკოლებს დავეცადნეთ, როგორმე თავიდან ავიშოროთ მოსალოდნელი არასასიამოვნო შედეგი, თორემ საქმის უკუღმა დატრიალების შემდეგ წუხილი უნაყოფო და უგემრიახობა იქნება.

ი. ჯიხაიშელი.

პატარა ფელეტონი.

სასაფლაოზე.

(მინიატურა).

— მწარე ფიქრებში გართული მივდიოდი გლეხებთან ერთად სასაფლაოზე.

— ეს იყო გურიაში.

— დღე უკანასკნელ სულსა ლევდა. მზე თანდათან ეშვებოდა დასავლეთისკენ და დედა-მიწას უძღვნიდა გავარაყებულ მკრთალ სხივებს; დროებით ეთხოვებოდა მას, მის მშვენიერებას.

— სასაფლაოს დავუახლოვდით.

— იქ ყვაოდა აკაცია.

— კვირიკობის თვეში, როდესაც ეს ხე თეთრი ყვავილების გულულებში არის გახვეული,—ხალხი, უქმე დღეებში, ხშირათ იკრიბება აქ, რომ დასტკბეს სათუთ აკაციის ყვავილების სუნით, მათი თეთრი თაიგულებით, რომლებიც თავჩაკიდული და თითქო შემკრთალი დასცქერიან **იმის** საფლავს...

— გლეხები ყნოსვენ ამ ყვავილების სურნელობას და ფიქრობენ, რომ ეს **იმის** უმწიკვლო სულის ნექტარია, **მისი** კეთილი პიროვნების სინაზე გამოკრთის გაცხოველ-მყოფებულ აკაციაში.

— და, მართლაც, ახედავთ ქვევიდან აკაციას და მისი ყვავილები გამომკვირვალებენ ამწვანებულ ხის ნაზ ფოთლებში, რომლებიც თითქო ბანაობდენ ზღვა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტის მხურვალე მზის სხივებში.

— ყვავილები ირხეოდენ და თანაც მოისმოდა გუგუნი ამ ყვავილების ნექტარით შექეიფიანებული ფუტკრებისა.

— მე ვიდექი **„იმის“** სასაფლაოსთან, რომელსაც გარშემორტყმოდა და დაჰყურებდა აკაციები თავისი ნაზი, თეთრი ყვავილებით.

— ასეთმა სილამაზემ ისე ძლიერ იმოქმედა ჩემზე, რომ ერთხელ კიდევ გავიხსენე მწერლის ეკლიანი გზა ცხოვრებისა და მოწიწებით ჩავკიდე თავი ამ დიდებული ნეშტის ძვლის წინ და თანაც ვფიქრობდი;

— როდესაც ეს თეთრი ყვავილები, სევდით შესუდრული დასწნავენ გვირგვინს „მის“ საფლავზე და გავა რამდენიმე ათეული წლიწადი გლოვისა, ეს ნაზი, მოწყენილათ მონარნარე სული, ეს გამაშუქებელი სხივი წყვდიადისა ისევ იქნება ჩვენში მოკამკამე ცის კამარათ, როგორც ვარსკვლავი მუდმივ მაძიებლობისა.

— ეს იყო საფლავი ეგნატე ნინოშვილისა.

ვასო ჭითავა.

წერილი მოსკოვიდან.

მოსკოვის ს.-სამეურნეო ინსტიტუტის ქართველი სტუდენტობა აწვდენდა ნათესავთ და ნაცნობებს იმ დაჭრილ კაცთა სიას, რომლებიც იმყოფებოდენ მოსკოვის ლაზარეთებში ჩვენს რაიონში. მაისში ეს მუშაობა შეწყვეტილ იქნა რადგან სტუდენტობა სამშობლოში წავიდა. დღეს კი, როდესაც სტუდენტობამ თავი მოიყარა, გადასწყვიტა ხელ ახლა განაგრძონ შეჩერებული საქმე. მუშაობა უკვე დავიწყეთ და აქვე გაწვდით იმ დაჭრილ ჯარის კაცთა სახელსა და გვარს, რომელნიც იმყოფებიან ლაზარეთებში ჩვენ რაიონში.

1) ქუთიძე პლატონ არსენის ძე. ქუთაისის გუბ. ოზურგეთის მ., ს. ხორბეთი. დაჭრილია ხელში (თითში).

2) ქორქოლიანი პლატონ თედორესძე, ქუთ. გუბ. ს. მაღლაკი. ავათ არის კბილის ტკივილით.

3) გულბერიძე ვარდენ სიმონის ძე. ქუთ. გუბ. ბაღდადის მ., ს. ზეგანი.

4) ქვანია ილია სტეფანეს ძე. ქუთ. გუბ. ზუგდიდის მ., ს. ჩხოროწყუ. დაჭრილია ხელში.

5) შავიშვილი ერმილე გიგოს ძე. ქუთ. გ. ოზურგეთის მ., ხახი ავათ არის.

6) გობრონიძე ტერაფონი. ქუთ. გ. ოზურგეთის მ., ხვარბეთის საზოგადოებისა ავათ არის.

7) ტუღუში მათე ქუთ. გ. ჯურკვეთის საზოგად. ავათ არის.

8) შენგელია ივანე ქუთ. გ. ს. პატრიკეთი დაჭრილია მარჯვენა ხელში.

9) ბუტულაშვილი გრიგოლ მიხეილის ძე. თბილისელი. დაჭრილია მარცხენა ფეხში.

10) მაისურაძე ფრიდონ მიხეილის ძე. თბილისის გ. სიღნაღი, ს. ახალ შენი. დაჭრილია მარჯვენა ხელში.

11) კიჩიევი არსენტი ჯაქოს ძე (ოსი), თბილისის გ., გორის მ., ს. დონტოვითი დაჭრილია ხელში მიულია წმ. გიორგის ჯვარი.

12 გოგიაშვილი ილუა. თბილისელი. დაჭრილია ორი ტყვით მარჯვენა მაჯაში.

13 ქუცური ნიკოლოზი. თბილ. გ., დუშეთის მ. ავათ არის.

14) კატინაშვილი ივანე დავითის ძე. ქუთ. გ. ოზრურგეთის მ. ავათ არის.

15) რუხანია პავლე ტოტის ძე. ქუთ. გ., სენაკის მ. ავათ არის.

16) გვაზაბია კიმოთე ბოლოს ძე. ქუთ. გ. სამურძაყანო, ს. ბარღები. ავათ არის.

17 ასათიანი გერასიმე ფარნაოზის ძე. ქუთ. გ. ლეჩხუმის მ. ს. დღნორისა. დაჭრილია ფეხში.

18 ხუციშვილი თომა ლაზარეს ძე. თბილ. გ. ს. გავაზე. დაჭრილია ფეხში.

19) გატენაშვილი ვანო დავითის ძე. თბილისელი (სომეხი). ავათ არის.

20 ტრაპაიძე ანთიმოზი ალექსანდრეს ძე. ქუთ. გ., ოზურგ. მ., ს. სურები. ავათ არის.

21) მარგიეშვილი ზაქარია ყაფრანის ძე. თბილის. გ. დუშეთის მ., ს. ცულდი დაჭრილია ფეხში.

22) კუპარაძე ივანე სოლომონის ძე. ქუთ. გ. ჰოგნარის მ. ს. სელაკეახხი. ფეხის ტკივილი აქვს.

23) ჩაგანაშვილი ლევანი გიორგის ძე თბილისის გ. სიღნაღის მ. სტკივა ფეხი.

23) ბუტულაშვილი ვასილ გიორგის ძე ქუთ. გ. ს. ტობანიერი. სტკივა ფეხი.

24) ფაჩულია პართენ შარდენის ძე ქუთ. გ. ზუგდიდის მ. ავათ არის.

25) მეიფარიშვილი ალექსანდრე ქუთ. გ. ოზურგ. მ. ავათ არის.

26) ბერეკაშვილი ქუთ. გ. დ. სამტრედიიდან. დაჭრილია მარცხენა ხელში.

27) ახაღიძე პავლე სპირიდონის ძე ქუთ. გ. ოზურგ. მ. დაჭრილია მარჯვენა ხელში.

28) კანდელაკი ნიკოლოზ იაკობის ძე. თბილ. გ. ს. მარტყოფი გვერდები სტკივა

29) გაზაშვილი ლადო სიმონის ძე თბილ. ქ. გორის მ., ავათ არის.

30) აკოფაშვილი გიგა თბილ. ქ., სიღნაღის მ., ს. მუკუზანი, ავათ არის.

31) ივანიძე გერასიმე ნიკოლოზის ძე. თბილ. გ., ახალციხელი ავათ არის.

32) ქუთათელაძე იასონ ზურაბის ძე. ქუთ, გ., ს ჩყენეში.

33) კინთაძე პეტრე ქუთ. გ., ხონელი დაჭრილი ყოფილა ხელში ისევ წაიყვანიათ.

34) ძაგნიძე იპოლიტე ნესტორის ძე. ქუთ. გ. მუხლები სტკივა.

35) ხუციძე ათანასე. ქუთ. გ. დაჭრილი იყო, ისევ წაიყვანეს.

36) რაზმაძე გიგა ანდროს ძე თბილ. გ. გ. გორის მ. ს. ქარბი დაჭრილი იყო ტყვიით, მორჩენილია.

37) ნეფარიძე. ქუთ. გ. რაჭის მ. ს. ეხვავა. მორჩენილია, მიყავთ ისევ.

38) გაბრიჩიძე რაჟდენ ზურაბის ძე. ქუთ. გ. შორაპნ. მ. ს. კვალითი. დაჭრილია ბეჭში და ფეხში.

39) გურგენაშვილი იაკობ თბილ. გ. გორის მ. ს. ქარალეთი გული სტკივა.

40) ქანტურაია. ილია ონისიმეს ძე ქუთ. გ. ს. აბაშა. ავათ არის.

41) ლემაჯავა პროკოფი პავლეს ძე. ქუთ. გ. ზუგდიდის მ. ს. მუხური. დაჭრილია მარჯვენა გვერდში.

დაჭრილების მისამართი: Москва, Лазаретъ О-ва Грузинъ, поварская д. Суходольскаго, для студента Варлама Давидовича Лешкашели (для раненнихъ).

ამავე მისამართით მიიღება აგრეთვე ყოველივე შემოწირულება (წიგნები, გაზეთები და ჟურნალები).

სტუდ. ვარლამ ლეშკაშელი.

მოსკოვი 17 ოქტომბერი 1915 წ.

თეატრი და ხელოვნება.

ქალაქის თეატრში ამ დღეებში ბ-ნი ნიკოლოზ ჩიგიანი გამართავს კონცერტს.

ნიკოლოზ ჩიგიანი ტომით ქართველი დაიბადა ქალ. ბათომში. სწავლა მიიღო თბილისის გიმნაზიაში, რომლის დასრულების შემდეგ გაემგზავრა უმაღლეს სწავლის დასასრულებლათ ხარკოვის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. მუსიკალური განათლება მიიღო პეტროგრადში გალობის პროფესორ ქალბატონ სოკოლოვასთან.

პეტროგრადში ის სამინისტროში სამსახურის დროს ნ. ჩიგიანი გამოდის იმპერატორ ნიკოლოზ II. სახელობის სახალხო სახლში, საპასუხისმგებლო როლებში, როგორიც არიან: ლენსკი, ჩაცკი, ალფერდი და სხვა. მიიღო რამდენიმე ხნის თავისუფლება და ნ. ჩიგიანი ამჟამათ მღერის თბილისის სახაზინო თეატრში, რომელსაც საზოგადოება აღფრთოვანებაში მოყავს. ქუთაისში ჩიგიანი გამართავს მხოლოდ ერთ კონცერტს, შემდეგ კი გაემგზავრება თავის მშობელ ქალაქ ბათომში.

ამ კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ს. ი. გულკო (სოპრანო), ესეც თბილისის სახაზინო თეატრის არტისტია, რომელსაც ქუთაისის საზოგადოება კარგათ იცნობს, გამოჩენილი ვიოლონჩელისტი ე. კოპელნიცკი და როიალზე დაუკრავს ქ-ნ. ნემეტი.

პასუხის პასუხი.

ბ. ი. გუნცაძეს.

(გაგძელება იხ. „სამშ“ № 206).

ამ დროს მე და ბ-ნმა პ. [illegible] დახმარებისთვის მივმართეთ დეპ. ა. ჩხენკელს მან დეპეშით ითხოვა, სადაც ჯერ იყო, რომ ჩვენი საერთო თხოვნა დაეკმაყოფილებიათ რიგს გარეშე. მართლაც, რამოდენიმე დღის შემდეგ გაზეთებიდან შევიტყვეთ (იხ. „სასოფლო გაზეთი“ № 8 1915 წ.), რომ დეპ. ჩხენკელის თხოვნა შეუწყნარებიათ, მაგრამ არა სავსებით.

აქ აღსანიშნავია კიდევ სხვა გარემოებაც, მაგრამ ამის გამოქვეყნებას ახლა გვერდს ავუვლი და მაშინ მოვახსენებთ, როცა ბ-ნი ი. გუნცაძე არსებით პასუხს მოგვცემს და აგვიხსნის, თუ ვინ მიიღო და ვინ ისარგებლა იმ ვაგონებით, რომელნიც მის სახელზე იყო დანიშნული. რა თქმა უნდა, ჩვენ ყვირილის ამხანაგობისათვის დანიშნულ ათი ვაგონის შესახებ არაფერს ვამბობთ. ეს მისი საკუთრება იყო. არა, ჩვენ ვამბობთ სხვა დანარჩენი ვაგონების შესახებ, რომელნიც მას უნდა მიეღო, როგორც სიმინდის გამომგზავნელს. არაფერი გვეთქმის არც იმ 24 ვაგონის შესახებ, რომელნიც სამტრედიისათვის იყო დანიშნული. ჩვენ ვეძებთ ჩვენს ვაგონებს და,—აი ამით შესახებ უნდა მოეცათ პასუხი, ვისაც ეკუთნოდა.

რაც შეეხება „სასოფლო გაზეთის“ ზემოაღნიშნულ ცნობას, ეს მე სიმართლეს მოკლებულათ მიმაჩნია და არა მჯერა, რომ მთავრობას მარტო სამტრედიისათვის დანიშნული 24 ვაგონი შეეწყნარებიოს და ყველა დანარჩენებისათვის უარი ეთქვას.

ეს მით უმეტესად არ მჯერა, რომ დეპ. ჩხენკელის მიერ გაგზავნილი დეპეშის ტექსტი ჩემს თვალწინ დაიწერა და კარგად ვიცი, იგი ყველა ამხანაგობას ერთნაირად ეხებოდა. ადვილი შესაძლებელია, რომ ჩვენი საერთო თხოვნა 59 ვაგონის შესახებ მთავრობამ არ დააკმაყოფილა სავსებით და მარტო 24 ვაგონი მოგვცა სწორედ ისე, როგორც ბ-ნს ი. გუნცაძეს საკუთრად ნათხოვნ 22 ვაგონში მარტო 4 ვაგონი მისცეს, მაგრამ არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს ნებადართული 24 ვაგონი მარტო სამტრედიისათვის დანიშნული ვაგონები იყო. აი, ამ მოსაზრებით, მე ვკითხულობდი ჩემს ღია წერილში ამ 24 ვაგონის ბედს და ახლაც ვკითხულობ, რომ თუ საერთო რიცხვიდან მარტო ესენი გვიწყალობეს, მათში წილი ჩვენც უნდა გვქონოდა. ამას მოითხოვდა სამართლიანობა და ამხანაგური წესი.

ამ ჩემს მოსაზრებას, სხვათა შორის, ბ-ნი ი. გუნცაძის მოქმედებაც ამართლებს. როცა ის დაბრუნდა ჩრდილო კავკასიიდან შეიტყო, რომ მის სახელზე 10 ვაგონი გვქონდა გამოთხოვილი, მაშინვე თხოვნა შეიტანა, რათა ეს ვაგონები ვრაცოვისათვის გადაეცათ მის მაგიერ. აქ ახლა სულ სხვა [illegible] [illegible] ბა და საგულისხმო ვიცოდეთ, რომ უფლებით ითხოვა [illegible] [illegible] ცემ-გადმოცემა მთხოვნელის უფლებას შეადგენს და ბ-ნი ი. გუნცაძე ხომ, როგორც ვიცით, მთხოვნელი არ ყოფილა, ის მარტო გამომგზავნელათ იყო აღნიშნული. ეს ერთი. მეორეც, რომელი რიცხვიდან ითხოვა მან ეს 10 ვაგონი, 59 ვაგონიდან, თუ 24 ვაგონიდან? თუ პირველი რიცხვიდან, სჩანს, რომ დეპ. ჩხენკელის მიერ გაგზავნილი დეპეშის შეწყნარება მასაც რგებია, ხოლო თუ მეორედან, ვერ გამიგია ამ შემთხვევაში, რატომ ლომის წილის მიღება მოუსურვებია, როცა კარგად იცოდა, რომ რიცხვი 24 თავის დღეში 59 რიცხვის მაგიერობას ვერ გასწევდა?!

ყოველივე ამის შემდეგ ცხადია, რომ სამტრედიამ 24 ვაგონში მიიღო თავისთვის საკუთრად, ეს უკვე დამშვიდებით ვიცით ახლა, ხოლო ბ-ნმა ი. გუნცაძემ თავისი 10 ვაგონი სხვას გადასცა. ჩვენი, დანარჩენი ამხანაგობის ვაგონები რაღა იქნა, ვინ მიიღო, ვინ ისარგებლა? ცხადია, ან ბ-ნს ი. გუნცაძეს უნდა მიეღო და ან ბ-ნს უჩინეიშვილს, რადგან ვაგონები მათ სახელზე უნდა გაგზავნილიყო და სხვა ვერავინ ვერ მიიღებდა, რაც უნდა მოენდომებია.

წყალტუბოს საკრედიტო ამხანაგობის წარმომადგენელი **ბლაღ. მღვ. ი. ფანცხავა**

რედ.-გამომც. **ი. თ ცინცაძე.**

მატარებლების მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან — დილის — 5 ს. 50 წ.
„ — ღამის — 11 ს. 30 წ.
ბათომიდან — დილის — 10 ს. 5 წ.
„ — ღამის — 2 ს. 23 წ.
ფოთიდან — დილის — 10 ს. 30 წ.
ტყიბულიდან — დილის — 9 ს. 38 წ.
„ — საღამოს — 7 ს. 39 წ.

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ — დილის — 7 ს. 55 წ.
„ — ღამის — 1 ს. 7 წ.
ბათომისაკენ — საღამოს — 10 ს. —
„ — დილის — 4 ს. 27 წ.
ფოთისკენ — ნაშუადღ. — 4 ს. 14 წ.
ტყიბულისკენ — დილის — 6 ს. 40 წ.
„ — ნაშუადღ. — 4 ს. 20 წ.

იყიდება ახალი წიგნაკები: ბ. ოცხელის და მთავრიშვილის წიგნ. მაღ.‘ და აგრეთვე ბ. გალუსტოვის ასაკინძავ ქარხანაში.
1) მხედარი. 2) გზა და გზა. 3) უმადური. და „ესეც კიდევ სოფელს“.
იბეჭდება კიდევ და გამოვა 5) „ლიკ-ლიკი“
შეთხზული დათ. ლოლობერიძისა.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა
დიდი იაფი ვაჭრობა
ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.
რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.
თვ. პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია
ალექსანდრე ი. კოსტავასი
თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.
ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსახურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეული ყოველგვარი მატერიები. რიგიან ფასებში, რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
მიღებულია დიდძალი
საპნის გასაკეთებელი „სოდა“
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან